სახალხო გაზეთი

№ 886 შაბათი, 4 მაისი 1913 წ. № 886

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი 8.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი
კვირას, 5 მაისს 1913 წელს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა გამართავს
ილიას ჭავჭავაძის
ხსოვნის პატივსაცემლად შემდეგის პროგრამით:

„ილიას საღამო"

I განყოფილება:
- ა) **სამგლოვიარო მარში** შოპენისა—შეასრულებს „ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი პრესმანის ლოტბარობით.
- ბ) „**ილიას ხსოვნას**", ლექსი ევდოშვილისა, წაიკითხავს ავტორი;
  „ ", ლექსი ცახელისა, წაიკითხავს თ-დი ნ. ერისთავი.
- გ) **კანტატა**, შეასრულებენ სიმებიანი ორკესტრი და ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი ზ. ტ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
- დ) **კახური ჰიმნი**, მუს. სულხანიშვილისა, შეასრ. სულხანიშვილის გუნდი.

„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაღედია",
სიტყვა გრ. რობაქიძისა.

II განყოფილება:
- ა) **ნაწყვეტი**, პოემა „განდეგილიდან", წაიკითხავს თ-დი ნ. ერისთავი, წაკითხულის შინაარსიდან **ცოცხალი სურათი.**
- ბ) „**ქართლის დედა**", ილია ჭავჭავაძისა, წაიკითხავ ც. ამირაჯიბი.
- გ) „**გუთნის დედა**", მუს. სულხანიშვილისა, შეასრულებს ნ. სულხანიშვილის გუნდი.
- დ) „**სამშობლო ხევსურისა**", მუს. ნ. სულხანიშვილისა, შეასრ. მისივე გუნდი.
- ე) „**სამშობლო**", მელოდია ყარაშვილისა, ჰარმონიზაცია და ორკესტროვკა ფალიაშვილისა—შეასრულებს ხორო და ორკესტრი.
- ვ) „**ნანა**", ფალიაშვილისა, შეასრ. ხორო და ორკესტრი.
- ზ) „**კუჩხა ბედნიერი**", მუსიკ. კლენოვსკისა, შეას. ხორო და ორკესტრი.

III განყოფილება:
„დედა და შვილი" (ახალის ვარიანტით)
დრამატიული ნაკვეთი ილია ჭავჭავაძისა.
დადგმული იქნება ახალ დეკორაციით და მიზან-სცენით, ორკესტრის აკომპანიმენტით.
რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი**
დასაწყ. საღამ. 8½ ს. ბილეთების ფასი საბენეფისო.
ადმინ. სტ. წერა-კითხ. საზ. გამგეობისა. 1182

მიიღება ხელის-მოწერა
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

უცხოეთის მწერლები
კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა და ჰენრ. სენკევიჩის თხზულებები.

ქართველი ერის ისტორია
პროფ. ივ. ჯავახიშვილისა სურათებითა და საქართველოს რუკით.

სურათებიანი დამატებით
(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.
თვეში ღირს 75 კაპ.
(როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ).

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „**უცხოეთის მწერლები**" და „**ქართველ ერის ისტორია**" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.
(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი მეუღლით, კნეინა ნინო ზაალის ასული შვილებითურთ და და ამისი თეკლე ალექსანდრეს ასული უზნაძისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ **შაბათს, 4 მაისს**, გადახდილ იქნება წლის წირვა 9-ნახევ. საათზე და პანაშვიდი 11 საათ. ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში გარდაცვალებულის

ანასტასია ქაიხოსროს ასული **კნეინა ამირეჯიბის**
სულის მოსახსენებლად. 862

ახალი კლუბი
საოჯახო საღამოები

4-სა და 7 მაისს, **ქ-წის ტ. ი. საბანეევისა** და **ბ-ნ ი. პ. სარაჯიშვილისა** და **ტ. ს. ორდას** მონაწილეობით გაიმართება საოპერო წარმოდგენები,

შაბათს, 4 მაისს, წარმოდგენილ იქნება **ტრავიატა**
ოპერა **4** მოქ., მუსიკ. დ. ვერდისა

სამშაბ., 7 მაისს **ლაკმე,**
ოპერა 3 მოქ., მუსიკ. დელიბასი.

კლუბის გაძლიერებულ და ახალ სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობს **ვ. ი. შელიონი.** ორივე წარმოდგენის ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10-დან ნაშუადღევ. 2 ს.-დე და საღ. 6—10 ს. ადგილ. ფასი 3 მ. 50 კ.—75 კ.-დე. ქანდარა ყველასთვის ხელმისაწვდომია. სტუმრები კლუბში შესასვლ. იხდიან კაცები 50 კ., ქალები 25 კ.
დასაწყ. საღამ. 8-ნახ. ს. 1162

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
გამგეობა
აცხადებს, რომ კვირას, 5 მაისს, მოხდება
ილიას ძეგლის
კურთხევა, მთაწმინდ. ეკლეს. გალავანში.

შაბათს, 4 მაისს საღამოს 7 საათზე,
დანიშნულია
ქართველ ქალთა
კრება
ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში,** ბელინსკის ქუჩა № 3.

ამერიკულ ვაზის სანერგეები
„გიორგის შრომა"
დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:
Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა,
იღებს შინაგან სნე. ჭლექისა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია** ბებუთოვის ქ., № 23 (გარსევის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე. გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** [illegible] **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 7—1.
ბავშვთა სნეულებ	ექ.-ქალ. **ბაქრაძე დედ ბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე.
(წელიწადი მეცხრე).
გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ორი გამოცემა:
მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი.**
მოზრდილთათვის **12 წიგნი.**
ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** „**ბიძია თომას ქოხი**", სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. **1910** წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.
1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.** № 20. წ. 1022

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის ახლოს.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ბუფეტი „სატივო"
ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.
აზიური საჭმელები
ახალის სანოვაგისა
ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

ექიმი ი. ი. ბე[illegible]შვილი
სწამლობს **ხაშარ[illegible]**თა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ., [illegible]ორგანოების **მანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. [illegible] სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. [illegible] **ხაზედ. ქ.**, № 9, კიროჩნი ქუჩის ახლო, [illegible] **ფოსტო განყოფ. პირდაპირ.** 102

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე. კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი. ყ. დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური [illegible]
აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით
1053

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ.ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველობა

ისტორიული ჩარხის ტრიალმა საქართველოს, პოლიტიკურ მთლიანობის გარდა, დაუკარგა სარწმუნოებრივი მთლიანობაც. სამუსულმანო სახელმწიფოებმა, რომელთანაც საქართველოს ყოველთვის უხდებოდა შეტაკება ისტორიულ წარსულში, თავისი ნაძალადევი პოლიტიკით, საქართველოს მოჰგლიჯა ნაწილი ტერიტორიისა და მცხოვრებლებისა და სამუსულმანო სახელმწიფოებს დაუკავშირა. მეორეს მხრით, თვით საქართველოშიც მთელი პროვინციები გამაჰმადიანდა და თანდათან, სარწმუნოების ზედგავლენით, დაჰკარგა ეროვნული ფიზიონომია. გასწყდა ისტორიული კავშირი და ტრადიცია საქართველოსა და გამაჰმადიანებულ პროვინციათა შორის.

სარწმუნოება, უდიდესი ფაქტორი ეროვნული განვითარებისა ჩვენს ისტორიულ წარსულში, საბედისწერო ფაქტორად გადაიქცა. მან დაჩრდილა პოლიტიკური ინტერესი საქრისტიანე საქართველოსი და ერთმორწმუნე [illegible]ელმწიფოს ინტერესებში გაითქვიფა. [illegible]თივე ბედი ეწვია სამუსულმანო საქართველოს. მაჰმადიანურმა სარწმუნო[illegible] დასჩრდილა ეროვნება და [illegible]სოებით [illegible]აპყრო თვალები მაჰმადიან სახელ[illegible]სკენ. სულ სხვა და სხვა პოლიტ[illegible] პირობებში უხდებოდა, და ეხლაც [illegible]შამოპა ქრისტიან და მაჰ[illegible]დებათ, მუთველებს. რაიმე პარალელ[illegible]ან ქარნა, ანალოგიის წარმოდგენა, [illegible]აყვალებელია, მაგრამ არსებობს ერ[illegible] გარემოება, რომელიც ერთგვარად ახასიათებს სხვა და სხვა პოლიტიკურ პირობებში ჩავარდნილ ქართველთა ფსიხიურ განწყობილებას. ოსმალეთის ქართველი მაჰმადიანი უპირველესად ყოვლისა ოტომანადა ჰგრძნობს თავსა. შეიძლება აქა-იქ [illegible] ეროვნული შთამამავლობისა, მაგრამ იგი ნაპერწკალი იმდენად სუსტია, რომ ვერ შეუძლიან დაუპირისპირდეს ძლიერს გრძნობასა და შეგნებას ოტომანობისას. ბევრი რამ ასაზრდოვებდა ამ შეგნებას. მაგრამ უმთავრესი მასაზრდოებელი იყო შარავანდედით მოსილი სამხედრო ძლიერება ოსმალეთისა, რომელიც, არამც თუ თვით ოსმალებს, სხვა სახელმწიფოებსაც კი, კარგა ხანს უძლეველად მიაჩნდათ. ეს რწმენა ოსმალეთის სამხედრო სიძლიერისა ანვითარებდა ოტომანურ თავ-მოყვარებას გამაჰმადიანებულ ქართველებში და უძლიერებდა წარმოდგენას, რომ იგი ოტომანია, შვილი ძლევამოსილ სახელმწიფოსი, რომლის ინტერესები იგივე მაჰმადიანი ქართველის ეროვნული ინტერესია. სარწმუნოებამ გამაჰმადიანებულ ქართველს დაუკარგა შეგნება ორგანიულ-ეროვნული კავშირისა საქართველოსთან და სავსებით გასთქვიფა თურქის მიერ შექმნილ ფსიხოლოგიაში.

შეადარეთ ეს სულიერი განწყობილება იმას, რაც ჩვენში ჰხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, და თქვენ დარწმუნდებით, რომ აქაც ანალოგიურ მოვლენასთანა გვაქვს საქმე. შინაურ განხეთქილებათა და გარეშე მტერთა შემოსევით დასნეულებულ-დასუსტებული საქართველო პირისპირ წარუდგა რუსეთის მხედრობას, რომელიც ერთბაშად ჩვენი მოწინავე წოდების თვალში, სამხედრო ძველა-მოსილების შარავანდედით შეიმოსა. ბევრ სხვა მიზეზებთან ერთად, რომელთა შესახებაც აქ ლაპარაკს არ გავაგრძელებთ. სამხედრო ძალა რუსეთისა ხელს უწყობდა იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც დამკვიდრდა ჩვენი მოწინავე წოდების ცხოვრებაში და რომელიც უეჭველად ხალხის ფართო მასასაც მოედებოდა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას რომ არ წარმოეშვა ისეთი ელემენტები, რომელთაც კავშირი არა ჰქონდათ გაწყვეტილი ისტორიულ ტრადიციებთან და შეგნებულად არ გამოეყენებინათ ეს ტრადიციები ეროვნული ცხოვრების განვითარებასა და განახლებისათვის.

იყო დრო, როდესაც საქართველოს ბედი და ბედნიერება რუსეთის

სამხედრო ძლიერებით განიზომებოდა. ბედნიერია საქართველო იმდენად, რამდენადაც იგი მონაწილეა რუსეთის სამხედრო ძლიერებისა. ამაში გამოიხატებოდა მამულიშვილობა მაშინდელი მოწინავე წოდებისა. რუსეთის იმპერიალიზმმა დაჩრდილა პოლიტიკური ინტერესი და დაუკარგა ინდივიდუალური ხასიათი ქართველთა ეროვნულ მისწრაფებას. ახალმა დრომ ახალი მაცოცხლებელი ძალა შეიტანა ჩვენს ცხოვრებაში და თანდათან შეავსო ის უფსკრული, რომელიც გათხრილი იყო წარსულსა და აწმყოს შორის, გაიდო ხიდი ისტორიულ ტრადიციებსა და თანამედროვე ცხოვრების შორის. მხოლოდ ამ უფსკრულის ამოვსების შემდეგ გაჰხდა შესაძლებელი ნათელი წარმოდგენა საქართველოს მომავალისა, რომელიც არც საერთო ინტერესების უარყოფასა ნიშნავს, მაგრამ არც საკუთარ, რუსეთის ცხოვრებისაგან განსხვავებულ, მოთხოვნილებათა უარყოფას. საქართველოს პოლიტიკურმა ინტერესმა გარკვეული სახე მიიღო და მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფორმით გამოისახა.

სამუსულმანო საქართველო ჯერ ძალიან დაშორებულია ამ პოლიტიკურ იდეალსა და შეგნებას. იგი მხოლოდ ეხლა ერკვევა და მხოლოდ ეხლა ჰგრძნობს ისტორიული ჩარხის ტრიალის წყალობით გაწყვეტილ კავშირს ძირითად საქართველოსთან. მხოლოდ ეხლა, ისიც ძალიან სუსტად, ანგრევს აღმართულ ზღუდეებს და ჰსურს საერთო სამშობლოს ცხოვრების შეგნებული მონაწილე გაჰხდეს. დროთა მიხედვით ტენდენცია საქართველოს კულტურასთან დაახლოვებისა თანდათან გაიზრდება, თუ ჩვენც ხელი შეუწყეთ და ისეთი პირობები შევქმენით, როდესაც დაახლოვება ადვილი გაჰხდება.

პირველი ხელის შემშლელი პირობა იყო ოტომანური ფსიხოლოგია ოსმალეთის გამაჰმადიანებულ ქართველებისა, რომლის შესახებაც ზევით ვლაპარაკობდით. წინად ოსმალეთის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ადვილად შეეძლო ესაზრდოვებინა გაზვიადებული გრძნობა ოტომანობისა. მაგრამ დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ჩვენ არ შევუდგებით იმის დაფასებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის დამარცხებას უკანასკნელ ომში, რა უფრო უკეთესი იქნებოდა, არსებობა ძლიერ განახლებულ ოსმალეთისა, თუ მის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღმოცენება. ჩვენ გვინდა ანგარიში გავუწიოთ მხოლოდ **ფაქტს**, რომლის მნიშვნელობა ჩვენის სურვილით ვერც გაიზრდება და ვერც შემცირდება. ფაქტის ობიექტიური განხილვა კი დაგვარწმუნებს, რომ ოსმალეთის დამარცხებით შესუსტდება მისტიციზმამდე მისული რწმენა ოსმალეთის ძლიერებისა გამაჰმადიანებულ ქართველებში. რამდენადაც ძალიან განელდება ეს რწმენა, იმდენად გაიზრდება გამაჰმადიანებულ ქართველთა მისწრაფება დედა-საქართველოსკენ, იმდენად მეტად მიაპყრობს გულის ყურს საერთო კულტურის აკვანს. გათვითცნობიერებული გაჰმადიანებული ქართველობა დაიწყებს ახალ დასაყრდნობ ნიადაგის ძებნას, და ასეთი კი მხოლოდ თვით დედა-საქართველო შეიძლება იყოს.

მაგრამ, თუ გვინდა სულიერ განწყობილების ამ ევოლიუციამ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს, ჩვენი ნიადაგი მტკიცე და შეურყეველი უნდა იყოს. თვით ჩვენი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება უნდა იყოს იმდენად სრული და მტკიცე, რომ იგი ბუნებრივად დასაყრდნობ ნიადაგად გამოდგეს. რამდენადაც მეტად დაეკარგება გამაჰმადიანებულ ქართველებს ოსმალეთის რწმენა და რამდენადაც მეტად მოძაგრდება ჩვენი საკუთარი პოლიტიკურ-ეროვნული ცხოვრება, იმდენად მალე განმტკიცდება ერთობა გამაჰმადიანებულ და ქრისტიან ქართველთა შორის.

რასაკვირველია, შეუძლებელია მთელი ჩვენი იმედები ამ პროცესის სტიქიურ მსვლელობაზე დავამყაროთ. საჭიროა შეგნებული და მიზანშეწონილი მოქმედება ამ ერთობის განსამტკიცებლად. ამ მხრით, საუბედუროდ, თითქმის არაფერი კეთდება. ბევრი გარემოება უშლის ხელს ისტორიულ ჩარხის ტრიალის წყალობით დაშორებულ ძმათა გაერთიანებას. ერთი ამისთანა პირობათაგანი ისევ ის წყეული „ობიექტიური პირობებია“, რომელიც წარა-მარა გვეჩხირება ფეხებში, მაგრამ გულწრფელ სურვილსა და განმტკიცებულ შეგნებას ბევრნაირი დაბრკოლების ძლევა შეუძლიან, და ჩვენ გვგონია, რომ ქართველი საზოგადოება მოახერხებს ამ დამაბრკოლებელ მიზეზთა ძლევას.

საუბედუროდ ბევრთა პოლიტიკურმა გაუგებრობამ ხელი შეუშალა გაერთიანების პროცესს. მე მოგახსენებთ იმ ქართველებზე, რომელთაც ჰსურდათ სამისიონერო მოღვაწეობით დაეახლოვებინათ გამაჰმადიანებული ქართველობა საქართველოსთან. ეს შემცდარი ნაბიჯი იყო, რომელმაც დიდხანს შეაჩერა ეროვნული გათვითცნობიერების ზრდა გამაჰმადიანებულ ქართველებში. ეს უკანასკნელნი უნდა დავიახლოვოთ არა მათი გაქრისტიანებით, არამედ ეროვნული იდეის, ეროვნული იდეალის და კულტურის შეტანით.

თუ ყველაფერი ეს გავითვალისწინეთ და მოძმეთა გაერთიანების საქმეს ჯეროვანის ყურადღებით მოვეკიდეთ, შრომა უსათუოდ ნაყოფს გამოიღებს, და ჩვენც დავინახავთ, რომ გამაჰმადიანებული ქართველი საერთო სამშობლოს წევრად იგრძნობს თავსა, შეგნებულად ჩაებმება საერთო ეროვნულ-კულტურულ მუშაობაში...

არ. ჯ—შვილი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ილიას ძეგლის კურთხევა.** ილიას ძეგლის კურთხევის დღეს, 5 მაისს, მამა დავითის ეკლესიაში მწირველი იქნება ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, ქალაქის ქართულ სამღვდელოების უმაღლეს წარმომადგენელთა თანამწირველობით. წირვასა და პანაშვიდზე იგალობებს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ხორო. ძეგლის გახსნა იკისრა მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ საგანგებო მისაწვევი ბარათები დაუგზავნა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებასა და წერა-კითხვის საზოგადოების ყველა განყოფილებას. ილიას სალამოს ბილეთები სწრაფად იყიდება. იაფ-ფასიანი ბილეთები თითქმის სულ გაყიდულია.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** როგორც გამოირკვა, პოლიტეხნიკუმისათვის სულ საჭიროა 400 დესეტინამდე მიწა. ქალაქმა დღემდე სულ შესწირა 384 დესეტინა, თავად-აზნაურობამ კი—244 დესეტინა. როგორც ახლა დანამდვილებით გავიგეთ, საბურთალოს მემამულეებს გადაუწყვეტიათ, შესწირონ კიდევ 150 დესეტინა, რაც წინად შეწირულ მიწით შეადგენს 394 დესეტინას, ე. ი. 10 დესეტინით იმაზე მეტს, რასაც ქალაქი სწირავს. მცოდნე პირთა გამოანგარიშებით საბურთალოს მიწა— 394 დესეტინა— სამი მილიონ მანეთით მეტი ღირს, ვიდრე ნავთლუღის საქალაქო მიწა— 384 დესეტინა. საბურთალოს მემამულეები მეფის მოადგილეს ახლავ უგზავნიან შესაფერს მოხსენებას ამ ახალ შეწირულების შესახებ.

✦ პირველ მაისს მოხდა ექიმთა და ბუნების-მეტყველთა სრულიად რუსეთის მე-13 კრების წესრიგის მიმცემი კომიტეტის სხდომა. სხდომას ნ. თ. რუდოლფი თავმჯდომარეობდა. კომიტეტის წევრმა და საქმის მწარმოებელმა ა. ფ. ლაისტერმა წაიკითხა წინა სხდომის ოქმი. ამ ახლო ხანში გამოქვეყნდება კრების სამოქმედო გეგმა. საექსკურსიო ბიუროს თავმჯდომარედ დაამტკიცეს კ. თ. განი.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** 30 აპრილს ქალთა უმაღლეს კურსებზე დასრულდა ლექციების კითხვა. 3 მაისიდან იწყება გამოცდები.

✦ სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო მესამე მცირე კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც აუქმებს დალისტნისა და ზაქათალის ოლქის მოსახლეთა დროებითი ვალდებულებას.

✦ **საბირჟო ცნობები.** 3 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ—85 მ. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 75 კ., აძლევენ—83 მ. 15 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან. აძლევენ—78 მან.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა.** 5 მაისს სახალხო სახლში ვ. გარშინის გარდაცვალების 25 წლის თავის აღსანიშნავად სალიტერატურო დილას მართავს. ლექციას წაიკითხავს ბ-ნი კოზლოვი. დილაში მონაწილეობას მიიღებენ რუსულ დრამის მსახიობნიც.

✦ **ხორცის ნიხრის** გადასათვალიერებლად დღეს კრება ექმნება ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას. ნიხრის გადათვალიერება გამოწვეულია ყასაბთა თხოვნით, რომელნიც თხოვნაში აღნიშნავენ, ხორცი იმდენად ძვირი გვიჯდება, რომ იძულებულნი ვართ ეხლანდელი ნიხრი დავარღვიოთო.

სასამართლო

✦ **პოლიტეხნიკუმი სასამართლოში.** მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტში პოლიტეხნიკუმის საკითხის გადაწყვეტის დროს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა ნ. ი. საგინაშვილმა, სხვათა შორის, მოიყვანა აზრი ექიმ ს. ი. გძელიშვილისა, რომელიც საბურთალოს საუკეთესო და საღ ადგილად სთვლის. ამის შემდეგ ქალაქის გამგეობის წევრი თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვიც შეეხო საბურთალოს ჰავას და განაცხადა, საბურთალო ციებ-ცხელებიანი ადგილიაო, რაც სჩანს იმავ ექიმ ს. გძელიშვილის სიტყვიდან, რომელმაც ქალაქის გამგეობაში განცხადება შემოიტანა, სადაც აღნიშნავს ციებ-ცხელების მძვინვარებას ამ ადგილში და ქალაქისაგან ითხოვს, საბურთალოზე ექიმი დანიშნოს. ექიმმა ს. გძელიშვილმა ამ სიტყვებისათვის სამართალში მისცა თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. უჩივის განზრახ ცილის დაწამებას, ბ-ნი გძელიშვილი საჩივარში აღნიშნავს, არასოდეს ქალაქის გამგეობაში ამის მსგავსი განცხადება არ შემიტანია და თ-დ არღუთინსკის განცხადება მტკნარ სიცრუეს წარმოადგენსო.

სოფლად.

✦ **დიდი სეტყვა.** 29 აპრილს, სოფელ ზემო ნიჩბისში, გორის მაზრაში, კვერცხის ოდენა სეტყვა მოსულა. ვენახები და ხილის ბაღები მთლად განადგურებულია. დაიღუპა მრავალი წვრილ-ფეხა საქონელი და შინაური ფრინველი.

ტფ. ქალაქის საბჭო

2 მაისის კრება.

კრება საღამოს 8½ საათზე იწყება ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით.

ქალაქის ექიმს იაშვილს საბჭო 98 მან. 13 კ., ყოველთვიურად პენსიას უნიშნავს, თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა.

საბჭო ისმენს ქალაქის გამგეობის დადგენილებას: **შესწიროს ქალაქმა პოლიტეხნიკუმის საჭიროებათათვის კიდევ 180 დესეტინა** მიწა.

როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქმა პოლიტეხნიკუმს 200 დესეტინა შესწირა: 50 დესეტინა ნავთლუღში თვით პოლიტეხნიკუმისათვის, ხოლო 150 დესეტინა—ავლაბრის აგარაკში პოლიტეხნიკუმის საჭიროებათათვის. როგორც გამოირკვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სიტყვებიდან, 50 დესეტინა პოლიტეხნიკუმს არ ეყოფა. საჭიროა კიდევ 180 დესეტინა.

ქალაქის საბჭომ დაადგინა, შესწიროს პოლიტეხნიკუმს კიდევ 180 დესეტინა მიწა.

ტრამვაის გამოსყიდვის საკითხი ხანგრძლივ კამათს იწვევს.

ქალაქის გამგეობის წევრს **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს** შედგენილი აქვს კარგა მოზრდილი წიგნი, სახელდობ: „ტფილისის ტრამვაის გამოსყიდვა“, რომელიც ხმოსნებს თავის დროზე დაურიგდათ. წიგნში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები, როგორც ტრამვაის კონცესიისა, ისე საქმის წარმოების შესახებ. უსახელო საზოგადოების ანგარიშებისა და წიგნების შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდა გამორკვევა ტრამვაის წმინდა მოგებისა 1909 წლიდან დაწყებული დღემდე. გამოსასყიდ ხანად ითვლება ის 5 წელიწადი (1909 წლიდან დაწყებული), რომელიც წინ უძღვის გამოსყიდვის მომენტს (ამ შემთხვევაში 1914 წელს, რა დროსაც განზრახულია ტრამვაის გამოსყიდვა). შესაძლებელი გახდა აგრეთვე დაახლოვებით გამორკვევა იმ წმინდა მოგებისაც, რომელიც ტრამვაის ექნება დღეიდან 1914 წლამდე. ქალაქის გამგეობა ბელგიის უსახელო საზოგადოებას შეჰკითხებია, რამდენი აქვს წმინდა მოგება წელიწადში, მაგრამ საზოგადოებას პასუხი არ მიუცია, რადგანაც ასეთ პასუხის მიცემა ნაადრევად უცვნია. ქალაქის გამგეობის დავალებით საბჭოს წმინდა მოგების გამორკვევა მიუნდვია თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისთვის, რომელსაც საქმეში კარგად ჩაუხედნია, მხედველობაში მიუღია უკანასკნელ სამის წლის წმინდა მოგება და მომავალ ორის წლის მოსალოდნელი მოგება და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ყოველ-წლიური საშუალო მოგება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ქალაქმა ტრამვაის გამოსყიდვის დროს, იქნება 185,000 მ. ხელშეკრულობის ძალით ქალაქმა ტრამვაის დირექციას ფასად უნდა მისცეს იმდენი 185000 მ., რამდენი წელიწადიც არის დარჩენილი კონცესიის ვადამდე. კონცესიის ვადამდე 1914 წლიდან, როდესაც ტრამვაის გამოსყიდვას აპირობენ, რჩება 16½ წელიწადი. ამიტომ ქალაქმა, თუ 1915 წელს გამოისყიდის, უნდა გადაიხადოს ტრამვაის ფასად 185,000 მან., გამრავლებული 16½-ზე.

უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით ქალაქს ყოველთვის უფლება აქვს, ტრამვაი გამოისყიდოს 1915 წლის 14 მარტის შემდეგ, მხოლოდ ტრამვაის გამოსყიდვის სურვილი ერთის წლით ადრე უნდა გამოუცხადოს უსახელო საზოგადოებას. თ-დ ა. არღუთინსკის მიერ შედგენილ წიგნში მოყვანილია ცნობები, რომლის მიხედვითაც ქალაქისთვის ხელსაყრელია ტრამვაის გამოსყიდვა 14 მარტს, რადგანაც 1915 წლის შემდეგ ტრამვაის წმინდა მოგება ბევრად გაიზრდება, რაც გამოიწვევს ტრამვაის გამოსასყიდ ფასის გადიდებასაც. ახლა კი საშუალო წმინდა მოგება 1909 წლიდან დაწყებული 1915 წლამდე მცირე გამოდის, რადგანაც 1911 წლამდე ტრამვაის მხოლოდ ზარალი მოჰქონდა და შესამჩნევ მოგებას მხოლოდ ხსენებულ წლიდან იძლევა.

ზემო-ხსენებულ მოსაზრებათა გამო თ-დი არღუთინსკი საჭიროდ სთვლის ტრამვაის გამოსყიდვას 1915 წლის 14 მარტს, ამიტომ ქალაქის სურვილი ტრამვაის გამოსყიდვისა უსახელო საზოგადოებამ უნდა ეცნობოს 1914 წლის 14 მარტამდე.

მთელი მასალა, რომელიც შეეხება ტრამვაის გამოსყიდვას, განიხილა ქალაქის გამგეობისა, საფინანსო, სარევიზიო, სატრამვაიო და სატეხნიკო კომისიების წევრთა შეერთებულმა კრებამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა პროფესორი ნ. ა. არტემიევი. შეერთებულმა კრებამ საჭიროდ აღიარა დაუყოვნებლივი გამოსყიდვა ტრამვაისა.

ქალაქის გამგეობამ განიხილა მთელი მასალა და თავის მხრით დაადგინა: 1) გამოისყიდოს ტრამვაი 1915 წლის 14 მარტს, 2) გაეგზავნოს უსახელო საზოგადოებას შესაფერი განცხადება 1914 წლის 14 მარტამდე, თანახმად ხელშეკრულობის მე-52 მუხლისა, 3) გამოსასყიდ ფასის რაოდენობაზე მსჯელობა იქონიოს შემდეგში, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა 1912—1913 და 1913—1914 წლების ოპერაციები და 4) ეს დადგენილება წარედგინოს ქალაქის საბჭოს.

ხმ. დ. ვ. ბეზობრაზოვი (გამგეობას). როდესაც ქალაქი ტრამვაის

ხელოვნება და სინამდვილე

(დასასრული *)

4.

ერთი თანამედროვე მწერალი ამ სიტყვით ახასიათებს ხელოვანს: „როგორც ბებია-ქალი ამსუბუქებს შობიერების პროცესს, ისე უნდა უმსუბუქებდეს ხელოვანი საგნებს მშვენიერების ცხადყოფას; მგრძნობელი თითებით მოვალეა იგი ხსნიდეს არტახებს, რომელნიც წინ უდგანან სიტყვის შვებას; ის გაამახვილებს სმენას, და მოისმენს, „რას მოუთხრობენ საგანნი“; ამჭრიახებს მზერას, და ისწავლის გაიგოს აზრი ფორმათა და მიზანი მოვლენათა. ნაზი გრძნეული გახდება მისი შემოქმედებითი შეხება. თიხა თვითონ მიიღებს მის თითებში სახეებს, რომელთაც იგი ელოდა, და სიტყვები ხმოვანებას, ენის სტიქიაში გამზადებულს“ (Вяч. Ивановъ: по звѣздамъ, გვ. 250).

ასეთია გარდამქმნელი ძალა ხელოვნებისა. კითხვა ბუნებით იბადება: შეუძლიან თუ არა ხელოვნებას გახდეს უნივერსალური პრინციპი სიცოცხლის ხსნისა? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდე, ნებას მივსცემ ჩემს თავს გაგახსენოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ეპიზოდი დიდებულის ხელოვანის მიქელ ანჯელოს ცხოვრებიდან. როცა მისი „მოსე“—ქანდაკი ეკლესიის ვიწრო კარებში შეჰქონდათ, მან დაარტყა კვერი ქანდაკს და გახელებულმა შესძახა: „მოიგონე, რომ შენ ცოცხალი ხარ —და გაინძერი“! მიქელ ანჯელოსათვის, როგორც ნამდვილი ხელოვანისათვის, მოსე—ქვა ნამდვილი ცოცხალი არსი იყო; სახავდა-რა სხვა სინამდვილეს, ხელოვანი მთელი თავისი ბუნებით გრძნობდა, რომ შობს იგი ამ სინამდვილეს; მაგრამ „სახვა“ და **შვება** ერთი და იგივე არ არის, —და აი, იშლება აქ საშინელი დრამა ხელოვანის სულისა. და მგონი, არასდროს არ ჩაჰქრილა ეს დრამა სულის ისეთს უფსკრულთა ჯურღმულებში, როგორც ეს ხდება თანამედროვე ეპოქაში.

თანამედროვე ადამიანის სულში თითქმის სრულიად გაჰქრა რელიგია როგორც მხსნე-ძალა სიცოცხლისა, —და აი, პირდაღებულ უფსკრულს ავსებენ ღვთიური ქმნილებით ხელოვნებისა. ფრ. ნიცშემ, ამ ცეცხლეულმა წინასწარმეტყველმა ზესთადამიანისამ, ახლად გვაგრძნობინა ელლინთა ქვეყანა,—და მის აღორძინებაში იგი ხედავდა რამოდენიმეთ სიცოცხლის ტრაგედიის ესთეტიურს ხსნასა; იგი ფიქრობდა, რომ სიცოცხლე ჰერაკლეიტოსის სიტყვით ნამდვილი ცეცხლია და მიიღების და გაიმართლების იგი მხოლოდ და მხოლოდ როგორც ესთეტიური ფენომენი,—და მთელის ალით თავის მწყურვალე ბუნებისა ილტვოდა იგი ამ ფენომენის მუსიკალურ შვებისათვის. ოსკარ უაილდი, ეს ესთეტიური არისტოკრატი, ფიქრობდა, რომ ხელოვნური ტყუილი იხსნის სიცოცხლეს ტანჯვისაგან. და მთელი რიგი თანამედროვე ხელოვანთა (მეტერლინკი, მერეჟკოვსკი, ვიაჩ. ივანოვი, ან. ბელი, რამოდენიმეთ დ'ანნუნციო და სხვ.)—ყველა ესენი, თვითეული თავისებურ, ფიქრობენ „სძლიონ ხელოვნება“, „მხოლოდ ხელოვნება“, ილტვიან გასცილდენ ხელოვნებას და შეუდგენ პირდაპირ სიცოცხლის გარდაქმნას. მოსკოვის სამხატვრო თეატრი ცდილობს „წარმოდგენა“ **მისტერიად** აქციოს („ძმანი კარამაზოვები“), თეატრი მაქს რეინჰარდტისა და ცდილობს აღადგინოს ანტიური ტრაგედიის ელლინურ ქოროთი. აი, სით მიისწრაფვიან თანამედროვე ძიებანი.

რაში მდგომარეობს ეს ძიება? ყველამ იცის, რომ დიდებული ლეონარდო და ვინჩის ქმნილებათა შორის არც ერთი არ არის დასრულებული; თვითონ ღვთიური ხელოვანი სთვლიდა თავის ნაქმნარს უსრულოდ. ლეონარდო იყო არა მარტო გენიოსი-მხატვარი, არამედ აგრეთვე გენიოსი ბრძენიც. და სწორეთ ეს გრძნეული ბრძენობა უჩვენებდა მას სადღაც მიმალულს კუნჭულში, რომ ხელოვნური ქმნილება მხოლოდ „მზგავსებაა“ სასურველი სინამდვილისა, მხოლოდ „ასლია“ შესაძლო სახისა. ლეონარდოს მრავალსიმიან სულში ბრძენი ებრძვის ხელოვანს და ბრძოლაში ხელოვანი ვერ გამოდის სავსებით გამარჯვებული; აბა დააკვირდით: მის ხელოვნებას აკლია გამარჯვებული მხიარულება. ამისთვისაა ლეონარდოს ნაქმნარი საიდუმლო ბურუსით მოცული: ყოველს მის სურათში მოსჩანს შორით უხილავი ხელი, რომელიც უჩვენებს უფრო სრულს სინამდვილეს.. და სწორედ ეს სულის კვეთება თანამედროვე ხელოვანთა სულიერი დრამა. ავხადოთ ფარდა ამ ძიებას.

პირველ ყოვლისა, უნდა ავნიშნო, რომ ელლინიზმის ხელმეორი შვება შეუძლებლად მიმაჩნია. ამის ღრმა მიზეზი ის პირლია უფსკრულია, რომელიც ბნელი საშინელებით გარღვეულა ჩვენსა და ელლინთა შორის. ანტიური შეცნობა პლასტიურ-მთლიანია, ეხლანდელი შეცნობა მსხვრეულ-ნაწილებული; ელლინური სული მთელი, ქალწული მარმარილოა, ეხლანდელი სული გაბზარული და გარყვნილი მარმარილო. ამ არსებითს სხვაობას შესანიშნავად სახავენ ტრაგიულნი გმირნი ორესტი და ჰამლეტი: პირველი—მატარებელი ელლინური სულისა, მეორე — მატარებელი ეხლანდელი შეცნობისა..

ორესტსა და ჰამლეტს თითქმის ერთნაირი ბედისწერა დაატყდებათ თავს: დედა ორესტისა კლიტემნესტრა საყვარელთან შეთქმულობით ჰკლავს თავის ქმარს; დედა ჰამლეტისა ჰამლეტის ბიძასთან შეთქმულობით სწამლავს ჰამლეტის მამას.. და მერე? სიცოცხლის დრამა ერთგვარია, მაგრამ სრულიად სხვანაირად ხსნიან მას ორესტი და ჰამლეტი. ორესტი, ღვიძლი შვილი ანტიური მთლიანობისა, ორგანიულ განიცდის ბედისწერას: იგი ხორცია დედის ხორცისა, იგი ძვალია მამის ძვალისა,—და მაშასადამე, დედის სირცხვილი მისი პირადი სირცხვილია, მამის ხვედრი მისი საკუთარი ხვედრია; მისთვის არ არსებობს „ყოფნა არ ყოფნა“, იგი არ იჭვობს, მან უნდა წარიხოცოს სირცხვილი, მან პასუხი უნდა აგოს მამისათვის; და აი, არ შედრკება იგი: მიდის ფარულად დედის ოთახში და საკუთარი ხელით მოჰკლავს მას. და მხოლოდ მის შემდგომ, რაც გადაწყვეტილი ასრულდა, ორდება იგი: ორესტი გრძნობს, რომ რაღაც დანაშაულის მსგავსი ჩაიდინა; და მართლაც: იგი ხომ დედა არ არის, იგი ხომ მამა არ არის,—და მაშასადამე, არ უნდა ჩაედინა საშინელი მკვლელობა. მას სდევნიან ერინნიები, ეს ხორციელნი მატარებელნი სინიდისის ქენჯნისა; იგი გაურბის მათ დევნას, მიდის თავრიზში თავის დასთან იფიგენიასთან, შეიყვარებს მას წმინდა, უმწიკვლო სიყვარულით და სიყვარულის მაცოცხლებელ ნაკადულში იგი ხელმეორედ იბრუნებს მარმარილოს მთლიანობას სულისას. ამ სახით ხსნის ბედისწერას ორესტი. სულ სხვაგვარად იქცევა ჰამლეტი. იგი, ღვიძლი შვილი თანადროული დამსხვრეული შეცნობისა, ინდივიდუალისტურ განიცდის ბედისწერას: მართალია, იგიც ხორცია თავის დედის ხორცისა, იგიც ძვალია თავის მამის ძვალისა, მაგრამ იგი მაინც არ არის დედა, იგი მაინც არ არის მამა, იგი სხვაა, სულ სხვა, იგი ინდივიდუალობაა, ყოველს მოწყვეტილი,—და მაშასადამე, დედის სირცხვილი მისი პირადი სირცხვილი არ არის, მამის ხვედრი მისი საკუთარი ხვედრი არ არის,—და არც არის იგი ვალდებული სირცხვილი მოიშოროს, პასუხი აგოს მამისათვის; მაგრამ მამის აჩრდილი არ აძლევს მას მოსვენებას: იგი ხომ არ არის სავსებით მოცილებული მსოფლიოს, იგი კიდევ გრძნობს მამის ხსოვნით მის მშობელს წიაღს,—და აი, აქ წამოიჭრება მის წინ საშინელი „ყოფნა არ ყოფნა“, ესე იგი, პასუხისგება, თუ პასუხის არ გება; და ამ კითხვებში ორდება იგი, და ამ გაორებაში იმსხვრევა მისი ნება. და დააკვირდით: ჰამლეტი ორდება არა აქტის შემდგომ, როგორც ორესტი, არამედ თვითონ აქტამდე,—და ამგვარი გაორებით იღუპება იგი: მან ვერ შეარიგა პიროვნული და გარე-პიროვნული.

თანამედროვე სულის ავადობა სწორედ ეს ჰამლეტიზმია,—და მართალია ბრწყინვალე უაილდი, რომელმაც გადმოისროლა ეს აფორიზმი: მას შემდგომ, რაც დანიის პრინცი მოევლინა ქვეყანას, უკანასკნელმა წამოისხა შავი მელანქოლიის მოსასხამი. და ეს სულის ავადობა ხელს უშლის ელლინიზმის ხელმეორ შვებას. მე დავესწარ „ოიდიპოს მეფის“ წარმოდგენას, რაინჰარდტის მიერ გამართულს, მე ვიხილე მისი ცდა ელლინური ქოროს აღდგენისა,—და უნდა გამოვტყდე, იგი ცდა სრულიად დამარცხდა. რასაც უნდა ამბობდნენ ლესსინგი, შილლერი, ნიცშე, ეს თეორეტიკოსნი ანტიური ტრაგედიისა, ერთი უცილობელია, რომ ქორო, ძველ ტრაგიკოსთა წარმოდგენით, ხმამაღლა ფიქრია, ხმადქცეული ზრახვა მსმენელთა შესახებ მისა თუ რა სრულდება სცენაზე; ქორო, ასე ვთქვათ, ჰვრეტილი მონაწილეობაა მაცქერალთა ტრაგიული სხვადქცევის მისტერიაში. და ასეთი შესხეულება მსახიობთა და მაცქერალთა ნამდვილად ხდებოდა ძველს ელლადაში ტრაგიული ქოროს საშუალებით. ეხლა კი, მაქს რაინჰარდტის დადგმულ ტრაგედიაში ნასახიც არ იყო ასეთის შეერთებისა: ქორო სრულებით არ წარმოადგენდა მაცქერალთა ორგანიულ გაგრძელებას. მაცქერალნი ქოროთი არ უერთდებოდნენ მსახიობთ, —და იშლებოდა ასეთი სურათი: მსახიობნი თავისთავად და მაცქერალნი თავისთავად, ქორო კი იმავ მსახიობთა ახალ ჯგუფს წარმოადგენდა. რისთვის მოხდა ეს? მისთვის, რომ ჩვენი შეცნობა მეტად დაცილებულია მსოფლიოურს, რომ ორგანიულ შეეძლოს მასში გადასვლა; იგი ინდივიდუალისტურია, იგი, ასე ვთქვათ, ჰამლეტურია, და არ შეუძლიან მას ნეტარი თავდავიწყებით, უკან არ მოხედვით, ესხეულოს მას, რაც თვითონ იგი არ არის: მასში კიდევ არის ჰქა სკეპსისისა, მასში კიდევ ძლიერია ფხიზელი რეფლექსი,—და ვერც შეს-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 886.

გამოსყიდვის სურვილს განაცხადებს, მაშინ ქალაქი მოვალეა თუ არა, რომ უსათუოდ გამოისყიდოს ტრამვაი? საჭიროა აგრეთვე გამოსასყიდ თანხის რაოდენობის გამორკვევა.

ა. ი. ხატისოვი. ქალაქი გამოსყიდვის სურვილს თუ განაცხადებს, მაშინ ხელშეკრულობის ძალით მოვალეა, აუცილებლად გამოისყიდოს ტრამვაი. რაც შეეხება გამოსასყიდ თანხის რაოდენობას, ამის შესახებ ცნობები წიგნშია მოთავსებული.

ხმ. დ. ვ. ბეზობრაზოვი. რახან ასეა, ქალაქმა ახლავ კარგად უნდა გაითვალისწინოს საქმე, გამოარკვიოს ტრამვაის მაქსიმალური ღირებულობა, ვადა ფულის გადახდისა და ტრამვაის ექსპლუატაციის საშუალება. თ-დ არღუთინსკის მიერ ნავარაუდევი 185,000 მანეთი. საშუალო მოგება საეჭვოა; არავითარ შეურყეველ საბუთებზე არ არის დამყარებული და ამის მიხედვით გამოსასყიდ თანხის გათვალისწინება შეუძლებელია. არ არის გამორკვეული ინვენტარის ღირებულობა. უსახელო საზოგადოების ანგარიშით ტრამვაის დირექციის ინვენტარი 8 ნახ. მილ. მანეთისაა, ხოლო თ-დ არღუთინსკის გამოანგარიშებით 3 ნახ. მილ. მან. ამიტომ შესაძლებელია, რომ თ-დ არღუთინსკის მიერ ნავარაუდევ გამოსასყიდ თანხას კიდევ სხვა ახალი 5—6 მილიონი მანეთი დავაყაროთ ზედა. ვსთქვათ, გამოვისყიდეთ ტრამვაი, ნავარაუდევ ფასად და ფული ნაწილ-ნაწილად ვაძლიეთ. ჩვენ მაშინ დაგვჭირდება წელიწადში 300,000 მან. გასტუმრება. ეს კი შეგვეძლება მაშინ, როდესაც ჩვენ თვითონ ყოველ წლიური ნაღდი მოგება გვექნება არა ნაკლებ 400,000 მანეთისა. თუ ჩვენ ვაწარმოებთ საქმეს, უეჭველია, ამდენს მოგებას ვერ მივიღებთ, რადგანაც ამას ვერ ახერხებს თვით უსახელო საზოგადოება, რომელსაც ათას ადგილას აქვს ტრამვაიები და ხელმძღვანელობს მრავალ წლობის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებით. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ვიდრე ტრამვაის გამოვისყიდიდეთ, ვიპოვოთ მოიჯარადრე, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ყოველ წლიურ მოგებას.

თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი მომხრეა ტრამვაის გამოსყიდვისა და საუკეთესო მომენტად დღევანდელი დღე მიაჩნია, როდესაც ტრამვაის მოგება ჯერ კიდევ მცირეა. ორატორს სჯერა, რომ უსახელო საზოგადოებასთან უეჭველია ქალაქს ბევრი ლაპარაკი მოუვა გამოსასყიდ თანხის რაოდენობის შესახებ. მისის აზრით ქალაქმა 10 მილიონიანი სესხი უნდა აიღოს და ტრამვაის შემოსავლით უზრუნველ ჰყოს. ის ფული, რომელიც ამ თანხას გადარჩება ტრამვაის გამოსყიდვის შემდეგ, ქალაქის გამშვენიერებას უნდა მოხმარდეს. დასასრულ თ-დი არღუთინსკი ემხრობა იჯარით გაცემას ტრამვაისას.

ხმოსანი ა. ი მიტკევიჩი. ტრამვაის გამოსყიდვის სურვილი ჩვენ შეგვიძლიან ახლა განვაცხადოთ, ხოლო გამოვისყიდოთ მაშინ, როცა გვენდომება, ერთის, ან ორის წლის შემდეგ. საჭიროა ახლავ გადავწყვიტოთ საკითხი. გამოსასყიდ ფულის შოვნა ადვილია. ამ ფულის გასტუმრებას ჩვენ შევძლებთ ერთდროულადაც და ნაწილ-ნაწილადაც.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი. თხოულობს ტრამვაის გამოსყიდვას ახლავე, სანამ ტრამვაის მოგებას უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია. დასასრულ წინადადებას აძლევს კრებას, კომისია აირჩიოს საქმის ყოველმხრივ გამოსარკვევად.

ა. ი. ხატისოვი. როგორც ორატორთა სიტყვებიდან გამოირკვა, ყველა მომხრეა ტრამვაის გამოსყიდვის ვადის დანიშვნისა.

თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი საქმეს უფრო ოპტიმისტურად უცქერის, ვიდრე ხმოსანი დ. ვ. ბეზობრაზოვი. ტრამვაის გაცემას იჯარით საჭიროდ არა სთვლის, რადგანაც დარწმუნებულია, ტრამვაი ქალაქს მეტს შემოსავალს მისცემს, თუ საქმეს თვით აწარმოვებს.

ხმოსანი პ. ა. გოთუა ჯერ ჯერობით საჭიროთ სთვლის ექსპლოატაციის საშუალებათა გამორკვევას.

დასასრულ საბჭო ეთანხმება ქალაქის გამგეობას და საჭიროდ აღიარებს, ტრამვაი გამოისყიდოს.

ქართველ ქალთა კრება

ერთი ჯგუფი ქართველი ქალებისა იმ აზრით გამსჭვალული, რომ საჭიროა დაარსება წრისა, რომლის შეკავშირებული მოქმედება ემსახურება ქალთა ყოველგვარ კითხვების იდეის გამორკვევას და საზოგადოდ ქართულ საზოგადო საქმეთა შესწავლასა და დახმარებას, კარგა ხანია სცდილობს, მეცადინეობს ამ აზრის შესრულებისთვის. სხვათა შორის ამ ჯგუფის წარმომადგენილი კომისია ამ რამდენიმე ხნის წინათ შეეკითხა „კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ მმართველობას, თუ რა აზრის იქნება ის, თუ ქართველ ქალთა წრე შეუერთდება ამ საზოგადოებას ცალკე სექციათ, თავისის არჩეულის განცალკევებულის მმართველობით და თავის საქმეთა საწარმოებლად ცალკე გამოყოფილის თანხით.

კავკასიელ ქალთა საზოგადოების არჩეულ კომისიის თანადასწრებით შემუშავდა პროგრამა მომავალი შეთანხმებულის მოქმედებისა.

დღეს, შაბათს, 4 მაისს, საღამოს შვიდ საათზე სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა) ზემოხსენებული ჯგუფი ქართველი ქალებისა მოიწვევს ფართო საზოგადოებას ამ აზრის განსახილველად და განსახორციელებლად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისელი ქართველი ქალები დიდის თანაგრძნობით მიეგებებიან ქალთა შეკავშირების აზრს და ბლომად დაესწრებიან ამ კრებას.

„სახალხო გაზეთი“
1 მაისიდან წლის დამლევამდე
ღირს 6 მანეთი

ნუგეშის-მცემი ზნეობრივი ძალა

(არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას)

(დასასრული*)

ძალიან მიყვარდა არჩილთან რელიგიის შესახებ საუბარი. ამ საგანში ყველაზე უფრო ნათლად სჩანდა ჩემთვის, როგორ განირჩეოდა იგი ბევრ ჩვენ თანამემამულეთა შორის, რომელნიც ერთი წკიპურტით ანგრევენ ცხოვრების უდიდეს მოვლენას—რელიგიას—და არც კი გრძნობენ, რომ ამ ნანგრევ ქვეშ მოქცეული მათი გრძნობა და ფიქრი საკუთარ სამარეს ჰპოვებს და საუკუნო ძილით განისვენებს.

არც ერთი რელიგიის უარ-მყოფელი ღრმა მოაზრე ადამიანი არ სჩადის იმას, რასაც მცირე გამოცდილებისა და დღე-მოკლე ფიქრისა და გრძნობის პატრონი ბევრი ქართველი ადამიანია ჩვეული. იმათზე მართლდება ლევ ტოლსტოის შესანიშნავი სიტყვები: ყალბი რელიგიის მოციქულებმა თავისი ტლანქი თითებით ისე დაჩხვლიტეს ბავშვობიდან ადამიანის სული, რომ იგი ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს რაღაც საცერის მსგავსს, სადაც არაფერი რელიგია არ დამაგრდებაო.

როგორ შეხედავთ თქვენ იმ ადამიანს, რომელიც ყალბი ფულით დაშინებული, ნამდვილს უარჰყოფს. ამ მდგომარეობაშია დღეს ბევრი ჩვენგანი, ჩვენს საქართველოში მკვიდრი ადაქიანი.

თვით არჩილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ჭეშმარიტების უანგარო და გულ-წრფელი მძებნელი იყო: იმისი ფიქრი და გრძნობა ერთს წერტილზე არ იყო გაჩერებული; იგი ნათლად ჰხედავდა, რამდენად ვრცელი და მრავალ-მხრივია კაცობრიობის ცხოვრება. ამავე დროს მთელი დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, სადაც ადამიანი თავის გაჩენასა და სიკვდილზე არ ფიქრობს და არ სცდილობს თავისი ცხოვრების სათავეს მიზეზთა მიზეზს მიაგნოს. დიდი და ხანგრძლივი განვითარება განვლო სარწმუნოებრივმა გრძნობამ მთელი ისტორიის განმავლობაში და ღრმა კვალი დააჩნია ადამიანთა სიცოცხლეს.

ეს ჭეშმარიტება სწამდა არჩილს და ამიტომაც მიჰყო ხელი ინდოეთის უძველესი რელიგიის, ბუდდიზმის, შესწავლას. ვისაც წაკითხული აქვს ამ საგანზე დაწერილი არჩილის გამოკვლევა, კარგად ეცოდინება, რომ ავტორი დიდად აფასებს რელიგიის ფარგალში ჭეშმარიტების ძიების უნარს. ინდოეთის სარწმუნოებრივი ფილოსოფია, ღრმა სიბრძნითა და მხატვრული სურათებით, მხიბლავი პოეზიით სავსე, იტაცებდა არჩილის გონებას. იმას კარგად ესმოდა, რომ ამ ჭეშმარიტების მძებნელი გონება გრძნობას სწრთვნის, ასპეტაკებს, სინაზესა და სიმკვიდრეს ანიჭებს. ჭეშმარიტების მწყურვალე ადამიანი უთუოდ პოეტური გრძნობით შემოსილი სულდგმულია. ამით აიხსნება, რომ ინდოეთის სარწმუნოებრივი ფილოსოფია ბუნების კალთიდან ამოღებულ ძვირფას მარგალიტებითაა სავსე. ჭეშმარიტების მკვლევარს ესმის, სულითა და გულით გრძნობს ამ ბუნების სიუხვეს და ამავე დროს ნათლად ჰხედავს, რომ მთელი მსოფლიოს ცხოვრება ადამიანის ცხოვრებასთან რაღაც უხილავი ძაფით, ნათესავური კავშირითაა გადაბმული. „ბევრი ისეთი საიდუმლო ინახება ადამიანის გულის სიღრმეში, რომელიც ღრმა ოკეანეს ძირზე მენახულ მარგალიტებსა ჰგავსო“,—გვეუბნება პოეტი. მართლაც მსოფლიოს ამოცანას ასახსნელად მფეთქავი გული იზრდება, თითქოს მთელ მსოფლიოს უნდა გასწვდეს, გარს უნდა—შემოერტყას; ამიტომ ამ გულში მოზღვავებული გრძნობები უძირო და თვალ-უწვდენ ოკეანეს ჰგავს, რომლის სიღრმეში პოეზიის საუცხოო მარგალიტები იპოვება.

სწორედ ამიტომ გულით სწუხდა ძვირფასი არჩილი, რომ ქართველ ხალხში კვლევა-ძიების ასპარეზი ვიწროდაა შემოფარგლული, რომ ქართველმა ადამიანმა ჩამოაჭრა ცხოვრებას უდიდესი სფერა და უყურადღებოდ დასტოვა.

რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდით არჩილს, მით უფრო გრძნობდით და ნათლად ჰხედავდით, რამდენად გაწვრთნა იმისი გრძნობა და ფიქრი ადამიანის ცხოვრებაზე დაკვირვებამ, კაცობრიობის უდიდეს საკითხების ახსნა-გადაწყვეტის წყურვილმა. მხოლოდ ვრცელი მსოფლიო შეხედულების მქონე ადამიანს ესმის რა არის ნამდვილი პატიოსნება და ადამიანის პიროვნების პატივისცემა ამ წუთისოფელში. ესმის რა არის ამ პატიოსნებისა და პატივის-ცემის სათავე. თვითოეული ღრმა მოაზრე და დინჯი მკვლევარი ცხოვრებისა უეჭველად ამ კვლევა-ძიების დროს თავის საკუთარ ბუნებას, თავისი გრძნობისა და ფიქრის, სულისა და გულის ვითარებას უკვირდება; ყოველი აღმოჩენა, თვითოეული დიადი ჭეშმარიტება, რომელსაც ის მიაგნებს, მკვლევარს ადამიანის ნიჭის წინაშე ღრმა პატივისცემას უღვიძებს.

ამ გზით მავალ ადამიანს ეკარგება მხოლოდ თავისი თავის პატივისცემა და სიყვარული, რომელიც დაბალ საფეხურზე მდგარ სულდგმულთა თვისებაა. თავის ბუნებაში, თავის სულსა და გულში იგი საზოგადოდ ადამიანის სულისა და გულის ვითარების, გრძნობისა და ფიქრის საუკუნო და დაუსრულებელი წარმატების წყაროს სცნობს. მას ძლიერ უყვარს, ღრმად პატივს სცემს ამ თავის ბუნებას, რომელმაც ჭეშმარიტების ძიება ასწავლა, უყვარს და პატივსა სცემს, არა როგორც საკუთარ განძს, თავის ძვირფას საკუთრებას, არამედ როგორც საზოგადოდ ადამიანის დიდმნიშვნელოვან და უძვირფასეს თვისებას. ასე ვრცლად, სულითა და გულით განათლებული ადამიანი თავისმზგავსს ადამიანში ძმას, მოყასს ჰხედავს, რომელიც მასავით შემძლეა სულიერი კვლევა-ძიებისა, დიადი ჭეშმარიტების აღმოჩენისა, მასავით ზეგარდმო მადლითაა ცხებული და ამიტომ—მისი სწორია. თუ იგი უბრალო ადამიანია, არაფერი არ აინტერესებს, არაფერს არ იძიებს და ყოველდღიური ცხოვრებით ცოცხლობს, ვრცლად მოაზრე ადამიანი მაინც პატივს სცემს მის პიროვნებას, თავმდაბლად უცქერის, რადგან ესმის, რომ, სხვა პირობებში აღზრდილი, ისიც მასავით ფიქრისა და გრძნობის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა, მასავით სულითა და გულით განსპეტაკდებოდა.

მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრებით უნდა განვჭვრიტოთ, რად სცემენ პატივს არჩილის მზგავსი დიდბუნებოვანი ადამიანები საზოგადოდ ადამიანს, თავის მოყვასს. მხოლოდ ამით უნდა ავხსნათ ჩვენგან განშორებულ ადამიანის ძვირფასი სულის ვითარება.

ეს მოსაზრება გაგვიმხელს, რად ერიდებოდა არჩილი თავის ცხოვრებასა და მწერლობაში ყოველნაირ კინკლაობას, ფუქსა და ადამიანის ღირსების დამამცირებელ კამათს, პოლემიკას. თავის იდეურ ცხარე მოპირდაპირესაც იგი ადამიანად სცნობდა, და თუ მის აზრებს ებრძოდა, იმის პირადობას თავის დღეში არ შეეხებოდა: „ისე ჰგმირავდა ადამიანის არსებაში დაბუდებულ ეშმაკს, რომ იქვე მყოფ ღმერთისათვის არაფერი ზიანი არ მოეტანა“.

ადამიანის ბუნების პატივისცემა—ადამიანის მიმართ სიყვარულის წყაროა. „სიყვარული ხომ სხვისი ცხოვრებით გაჟღენთა-გამსჭვალვაა“ მე მიყვარს—ნიშნავს მე ვცოცხლობ ჩემი მოყვასის ბედითა და უბედობით, ჩემი გული მის გულთან ერთად, მწყობრად ჰფეთქს, მე მესმის ამ გულის პასუხი, იმისი გრძნობის ღრმა საიდუმლო ვითარება.

ერთ მაგალითს მოვიყვან არჩილის ცხოვრებიდან, რომელიც ნათლად გაჩვენებთ, როგორ იცოდა მან ამხანაგის გულის პასუხის გაზიარება, ადამიანური თანაგრძნობა, სხვისი მდგომარეობის წვრილი შეგნება.

ეს ამბავი იმ ხანას ეხება, როცა მე პირველად დავიწყე საჯარო ლექციების კითხვა და ამ მძიმე და პასუხსაგებ სარბიელზე მცირე გამოცდილება მქონდა. ვისაც არ გამოუცდია, არ იცის რანაირი განსაკუთრებული გრძნობაა—გრძნობა ლექტორისა, რომელიც თვალწინ ხალხით სავსე აუდიტორიას ჰხედავს. ის გრძნობს, რომ თვითეულ მის სიტყვას მკაცრი მსაჯული ელის, რომელიც მას სამართლიანად და პირუთვნელად დააფასებს; ჰხედავს მისკენ მიმართულს მრავალ თვალს: გული ცხარედ უტოკავს, აშფოთებულია; გრძნობს, რომ მისი ბუნება ორადაა გაყოფილი: ერთის მხრივ მან უნდა გამოსთქვას თავისი მრწამსი, თავისი გულის ნადები, უღრმესი ნაგრძნობი და ნაფიქრი, რისთვისაც მტკიცე თავ-შეკავება საკუთარ გულში ჩახედვა და გარეშემო პირობების მთელი დავიწყებაა საჭირო; საჭიროა მთელი სულიერი ძალის მომართვა იმ ფიქრთა და გრძნობათა გამოსახატავად, რომელიც ადამიანს ხანგრძლივად თავის გულში უტარებია; ამ დროს კი ამ სულიერი ძალის უდიდეს ნაწილს გარეშემო თავმოყრილი ხალხი იპყრობს, იზიდავს მოლოდინით, მნიშვნელოვანი დუმილით, რომელიც მხოლოდ ლექტორისათვის გასაგებ და საშიშარ ენით მეტყველებს.

ძნელია ამ მძიმე წუთების დაძლევა, სულიერი ძალის შემოკრება, შინაგანი სიმშვიდის მოპოვება, რომლისაგანაც დამოკიდებულია აზრის მარტივი, მკაფიო და ნათელი გადაცემა.

სხვათა შორის ბათომშიაც მამიხდა ლექციების კითხვა ამ ჩემი გამოუცდელობის ხანაში და ერთს ჩემ ლექციას არჩილიც დაესწრო, რომელიც ავადმყოფობის გამო მაშინ ბათომში სცხოვრობდა. მე არ მითხოვნია, თვით არჩილმა ისურვა ჩემს ლექციაზე დასწრება, თუმც თავს ძალიან სუსტად გრძნობდა. ძალიან სასიამოვნოდ დამირჩა, რასაკვირველია, არჩილის სურვილი. მძიმე წუთებში თანამგრძნობი ამხანაგის სიახლოვე დიდი საქმეა, იმედის მომნიჭებელია.

არჩილი ისე დასუსტებული იყო, რომ თეატრის დარბაზში არ გამოსულა, ნაცნობებთან საუბარი გაუჭირდებოდა და სცენის უკან კულისებში სკამზე დაჯდა.

გამოუცდელობის გამო საშუალოდ შევძელი თავის დაძლევა და გამოსათქმელ ფიქრებზე მთელი ჩემი ყურადღების შემოკრება: ჩემი სულიერი ძალა ორად გაიყო, ამიტომ ჩემი ლექციაც საშუალო გამოდგა. ლექტორი ყოველთვის კარგად გრძნობს თავის შეძლებას, იმას, თუ რამდენად გაამართლა მან ხალხის მოლოდინი.

დავასრულე თუ არა ლექცია, მაშინათვე არჩილთან შიველი და ერთად გავედით ქუჩაში. შევატყვე, რომ ძალიან მოქანცული იყო, თუმც ლექცია ერთ საათზე მეტი არ გაგრძელებულა. ვკითხე მიზეზი და მიპასუხა: „შენი მდგომარეობა მესმოდა, ვშფოთავდი და ოფლში ვიწურებოდიო“.

მაშინ მკაფიოდ და ღრმად შევიგენი, თუ რას ჰნიშნავს სიტყვა „თანაგრძნობა“, „სიყვარული“: მოსიყვარულე და თანამგრძნობ ადამიანს ეკარგება საკუთარი, თავის კერძო სურვილი: იგი ამხანაგის ქერქშია, მისი სიცოცხლით სცოცხლობს, მასთან ერთად ჰღელავს და შფოთავს, მასთან ერთად სწუხს და ხარობს.

აზრიანმა და მგრძნობიერმა ადამიანმა არ შეიძლება არ იწამოს, რომ ზნეობრივ საკითხებს უდიდესი ყურადღება ეკუთვნის ადამიანთა ცხოვრებაში. არჩილს ეს სწამდა, სწამდა პირადი გამოცდილებით და არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ქართველი საზოგადოების სისუსტე—ზნეობის სისუსტეში გამოიხატება. მას სწამდა, რომ რწმენა, მტკიცედ და ღრმად შეთვისებული, ზნეობის წმინდა წყაროა. თუ კაცს რამე სწამს და ამ რწმენას თავისი ცხოვრების ქვაკუთხედად სთვლის, უთუოდ კაცთა შორის თავის მოქმედებას, მოღვაწეობას ამ რწმენას შეათანხმებს, მას მოაგვარებს; რწმენა მაშინ ის ისარია, კომპასია, რომელიც ადამიანის სულიერ ძალას, ენერგიას გზას, მიმართულებას აჩვენებს და ამავე დროს ამ ძალას, ენერგიას ზრდის და ჰკვებავს.

არა ერთხელ მისაუბრია არჩილთან იმის შესახებ, რომ ხასიათის, ნებისყოფის სისუსტე, რაიცა ასე აშკარად ემჩნევა ქართველ საზოგადო მოღვაწეს, რწმენის სისუსტის შედეგია. არჩილმა კარგად იცოდა, რატომ არ ხეირობს ჩვენში საზოგადო საქმე; მკაფიოდ ესმოდა, რომ ამის მიზეზი ჩვენი ჯერ-ჯერობით ძველებური სულიერი ვითარებაა, ისეთი მდგომარეობაა, როცა აზრი და მისი დიადი მნიშვნელობა ქართველ კაცს ძვალ-რბილში გამჯდარი არა აქვს.

აზროვნებისაგან გაუწვრთნელი გრძნობა, რომელიც თავის თავად ბრმაა, თუ აზრის ნათელ გავლენას მოკლებულია, ხშირად სძლევს ქართველ კაცს; ამის გამო მისი ხასიათი, ნებისყოფა ერთიანი, ერთი მიმართულებით, ერთი რწმენით გარკინებული არ არის. ქართველი მოღვაწის ცხოვრებაც ამიტომ მეტად ჭრელია, მთლიანობა მოკლებულ სურათს წარმოადგენს. იგი ნელა მიდის წინ, ზანტად მოძრაობს აზროვნებისსარბიელზე, თითქო მისი სული, მხოლოდ სანახევროდაა ახალი, დროის შესაფერი, აზრებით ცხოველყოფილი, სანახევროდ კი ძველნაანდერძევ ბრმა გრძნობებისა და ინსტიქტებისაგან გაშეშებულიაო. კარგია შემბორკავი ტორმოზი. როცა ადამიანი უფსკრულისაკენ მიექანება; იფიქრეთ, რამდენად სასარგებლოა იგი, როცა ადამიანმა მაღალ სფერებში გზა უნდა გაიკაფოს.

სწორედ ეს სულიერი ტორმოზი, როგორც ძველი დროის ნაშთი, ფიქრისაგან ხელ-უხლებელი, გარდუქმნელი ბრმა ინსტიქტიური ძალა აბრკოლებს, აფერხებს ქართველ კაცის მოღვაწეობას და ამ სამწუხარო სულიერს ბორკილს კარგად ჰხედავდა ჩვენს ცხოვრებაში განსვენებული არჩილი.

რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის არჩილს, რადგან სწუხდა იგი, როცა ნაცნობები, მისი ავადმყოფობის დროს, დაჟინებით სთხოვდნენ—მეცადინეობას, წერას და კითხვას თავი დაანებე, სადმე გაემგზავრე ჯანის შესაკრებლად და შემდეგ უფრო კარგად შესძლებ მუშაობასაო. ეს რჩევა რომ მიმეღო და ამ გზაზე დავმდგარიყავი,—მითხრა ერთხელ არჩილმა,—მთელი ჩემი სიცოცხლე ჯანმრთელობისათვის უნდა შემეწირა, რადგან ისეთი ავადმყოფობა მჭირს, რომელსაც მუდამ დღე წამლობა და დასვენება სჭირია. როცა ვეუბნები მრჩევლებს, რომელთა შორის ზოგიერთები მხოლოდ თავის კუჭს აღმერთებენ და ემსახურებიან, რომ უწიგნოდ, უსაწერ-კალმოდ და უმუშაოდ ცხოვრება არ შემიძლიან, ბევრს ჩემი სიტყვები არ ესმის. რა სასარგებლოა ჩემთვის მუდამ ჭამს

---

*, იხ. „სახ. გაზ.“ № 88.

ძლებს იგი იქმნას ერთხეული მსოფლიოსა, გარეპიროვნულისა. ყველა ეს ხელს უშლიდა „ოიდიპოს მეფის“ ელლინურად განხორციელებას,—და თუ მისმა დადგმამ მაინც დიადი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ფრიად ძლიერია „ოიდიპოსის“ შემოქმედი—სოფოკლი და ფრიად მატყვევებელია ამსრულებელი „ოიდიპოსის“—სანდრო მოისსი.

მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ ელლინიზმის აღორძინების ცდამ ტყუილად არ ჩაიარა და ნაყოფი გამოიღო; საკითხავია: შესძლებს თუ არა ასეთნაირ განხორციელებული ხელოვნება იქცეს ხსნად ადამიანის სიცოცხლის ტრაგედიისა? მე მგონია, ვერ შესძლებს,—და აი რათა.

ჩვენ ვიცით, თუ რა არის ხელოვნება: იგი, ჩვენი განმარტებით, მხოლოდ „გამოსახვაა“ სასურველი სინამდვილისა; ხოლო „სახე“ სინამდვილისა და თვითონ სინამდვილე ერთი და იგივე არ არის; მართალია, ხელოვანს სწამს სინამდვილე მისი, რასაც იგი ასხეულებს, მაგრამ თვითონ სხეულება ხელოვნურია და არა ნამდვილი: მილოსის ვენერა ხელოვნური სინამდვილეა და არა ცოცხალი ქალი; მაშასადამე, ხელოვნება ბოლოს და ბოლოს სრული სინამდვილის შექმნა კი არაა, არამედ მხოლოდ ქვრეტა ამ სინამდვილის ასლისა: იგი „სახვაა“ და არა „შვება“; მაგრამ „სახვიდან“ ჯერ კიდევ შორს არის „შვება“,—და ის, ვინც ხელოვნურ ხატს იღებს ცოცხალ სინამდვილედ, იგი უნებლიეთ დაღუპვის გზით მიდის. ჩვენს წინ სდგება მშვენიერი სახე დორიან გრეისა, შექმნილი ოსკარ უაილდის სხივოსან ფანტაზიის მიერ. მას სწყუროდა იმ ყოფად ქცეულიყო, რომელიც ითხოვს ნიცშეს „სიტყვად“ იქცეს, მას უნდოდა გამხდარიყო თვითონ ხელოვნურ ქმნილებად. და კიდეც უსრულდებოდა საზღაპრო წადილი… მაგრამ, მიიღო თუ არა ხელოვნება ნამდვილ სიცოცხლედ, იგი საშინელი სიკვდილით დაიღუპა. და განა, ეს რომანი მხატვრული წინასწარმეტყველება არ არის თვითონ უაილდის უცნაური სიცოცხლისა?! ის, რომელიც ხელოვნური ტყუილით აპირებდა სიცოცხლის ტრაგედიის ხსნას, იგი სიცოცხლის ბოლოს, უმზგავსო ბედისწერით გატეხილი, მიმართავს უკანასკნელს, უნამდვილეს სინამდვილეს, იესო ნაზარეველს?! განა, ეს საცნაური მოვლენა არ არის?! და ესევე არ დაატყდა თავს ბედისწერითი ულმობელობით თვით „დიადს შეშლილს“, ზარატუსტრას ცეცხლეულ მოციქულს ფრ. ნიცშეს?! მის უცნაურს თვალს ეხატებოდა, რომ მუსიკალურ სიმთვრალეში ადამიანი ხსნის ნეტარი თავდავიწყებით თავის სიცოცხლეს, გადადის რა რიტმის თამაშით პირველ-ყოფილის ათამაშებულს ტალღებში; მან იხილა უცნაური სანახავი: იქ, მოშორებით, სხვა სიცოცხლის ნაპირას, ტალღა მუსიკით გახსნილი არსება თვითონ იზრდება ტალღებში და აპოლლოს მზიურ ხაზებში თვითონ ისხმება ერთი თვალწამით ცოცხალ არსებად. ნიცშემ შესძახა: შეჩერდი თვალწამო! მან უშიშარი ძლიერებით შეხედა იმა თვალწამს და დაჰრქვა მას „ზესთადამიანი“. მაგრამ თვითონ? ამ უცნაური ხილვით, ღვთიურ გამაბრმავებელით ნიცშე დაბრმავდა: მას შემოესხა ტალღა შეშლილობისა, და იგი, ცეცხლში შობილი ცეცხლისაგან დაიფერფლა სრულიად თავის საკუთარ ალნაკადულში. მან გაბედა უძიმრად მუსიკით შობილი ძიელო ზესთაადამიანად, და უკან მიუხედავად შესდგა მან ფეხი ამაყად წმინდა გზას შეშლილობისას. ცეცხლი განსჯის ყოველსა!—წარმოსთქვა ელლინთა ბრძენმა! ცეცხლი განსჯის მას, ვინც მისი ალისაგან იყო შობილი!!

ნიცშეს ტრაგედია ხელოვანთა ტრაგედიაა. ხელოვანი უქვრეტს „სახეს“ სასურველი სინამდვილისას და ნებისყოფით არ ძალუძს მას წარმოშვას ხელსახებელ იგი სინამდვილე. ის თავისებური ჰამლეტია, რომლის სულიერი ღრამა უცდის თავის ვილლიამ შექსპირს. იგი შესძახის ვით გიჟი მიქელ ანჯელო მარმარილოს: გაინძერ, მაგრამ ჯიუტი ქვა არ ინძრევა. მისი ავადობა თანადროული კულტურის სნეულებაა. გრძნობათა ორგანოები გახვილებულნი არიან ფრიად, იდეალურნი სახენი ახლოვდებიან ხელშეხებამდე, მაგრამ არ არის შემოქმედის ცდა, არ არის ნების ფოლადის აქტი,—და ხელში გვრჩება მხოლოდ საშინელი მოჩვენება,—და ჩვენ, მწყურვალნი, ისევ უწყლო უდაბნოში ვართ.

სწორეთ დიდის ამბების წინადღით ვსცოცხლობთ ჩვენ! ჩვენ ველით შემოქმედს, მაგრამ სხვაგვარ შემოქმედს. იგი ხელოვანი არ არის მარტო, იგი წინასწარმეტყველიცაა! თვითონ ცეცხლეული, ანთებული ჟინჟღილით ხელში მოდის იგი და ცეცხლის სიყვარულით ჰქმნის იგი სიცოცხლეს, ახალს სინამდვილეს. იგი ჰკვეთს სულის მარმარილოს, ასხამს ნების ბრინჯაოს და მოქნილი ფოლადით სჭრის იგი ადამიანთა გულს. ყოველი ქვემძრომი და ქვეწარმავალი, „ადამიანური, ძალზე ადამიანური“, იმსხვრევა მისი ღვთიური რისხვით; ყოველი ნათელი, მზიური ახლად იშლება მის სიყვარულში. იგი სწყვეტავს მზეთ და ილის ენით სწვავს და სჭრის მათში აღთქმის ფიცარსა. განუმზადოთ გულნი.

გრიგოლ რობაქიძე.

სხეულის ჯანმრთელობაზე ვიბრძოლო და სული, სხეულის ლამპარი, სიბნელესა და უძრაობაში დავტოვოთ. მოკლე სულიერი ცხოვრება სჯობია სხეულის ხანგრძლივ სიცოცხლესა.

იმიტომ ურჩევდნენ ბევრნი არჩილს სხეულის მოვლა-მოფერებას, რომ აზრი ჩვენში ნაკლებად ფასობს. ეს კარგად ესმოდა არჩილს, სწუხდა ყოველთვის ამის გამო და თავისი ცხოვრებით დიადი მაგალითი მოგვცა სულით სხეულის ძლევისა.

რას გვასწავლიან, რა გზას გვიკაფავენ მომავლისაკენ ქართველ ერში გამოჩენილი არჩილ ჯორჯაძისთანა არა-ჩვეულებრივი ადამიანები? ისინი ცხოვრობენ ჩვენს წრეში, მოღვაწეობენ ჩვენს თვალ-წინ და შემდეგ გვტოვებენ საუკუნოდ, ეფარებიან იმ იდუმალობით სავსე საზღვარს, სადაც დარაჯად სიკვდილი სდგას. ვწუხთ, გულით ვგლოვობთ ძვირფას მოღვაწეთა დაკარგვას, მაგრამ ჩვენი გლოვა მშრალი, იმედ-შემოძარცული, სასოება მიხდილი გლოვა არ არის. ამის მიზეზი თვით ეს ჩვენგან საუკუნოდ განშორებულნი და ამავე დროს აზრით, გრძნობათ, სულის მთელი ზნეობრივის ძალით, ჩვენ შორის დღესაც მცხოვრები ადამიანებია. იმათ არ ეშინიანთ სიკვდილისა. როცა მხოლოდ პირველ-შეხედვით შავ-ბნელი ალსასრული უახლოვდებათ, იმათ შეუძლიანთ ისეთი შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმა, როგორიც ერთი მეგობრისათვის ნათქვამი არჩილის სიტყვებია: „ქართველი ერის მთლიანობა მაშინ იქნება შესრულებული, როცა ქართველი კაცი უშიშრად შეხვდება სიკვდილსაო“.

ეს შესანიშნავი, ღრმა აზრიანობის შედეგი გულადობა ჩვენც გულს გვიკეთებს, გვაგულიანებს და უიმედობის, სასოწარკვეთილების სიმკვეთრეს გვიკარგავს, როცა ზნეობრივი ძალით აღჭურვილ ძვირფას მიცვალებულის ცხედარს ვაცილებთ საუკუნო სავანისაკენ. მიცვალებულის ცოცხალი სული, სიკვდილის მთრგუნავი მისი ზნეობრივი ძალა—ჩვენთვის ნუგეშის მომცემია ამ მძიმე წუთებში და ჩვენი გლოვა ამ წუთში გვაგონებს გეტეს ღრმა-აზრიან სიტყვებს: „არის ისეთი მწუხარება. რომლისაგან ადამიანს პოემის შექმნა შეუძლიანო.“ ამ პოემის შემომქმედი ადამიანის სულის ზნეობრივი ძალაა: იგი აშუქებს მთელ მის ცხოვრებას და როცა ძვირფასი მოღვაწე საუკუნოდ გვშორდება, ჩვენს გულში სიკვდილის წინაშე შავბნელ ძოწეულის ძალას აქარწყლებს. გამოჩენილ ადამიანთა სიკვდილიც ცხოვრების მომნიჭებელია, ისინი არა კვდებიან, იმიტომ რომ მათი ცხოვრების მანათობელი სულიერი ძალა, უჩინარი ღვთაების სხივები, ჩვენ შორის გაფანტულია. ეს სხივები—ნათელი მომავალის მოციქული, ადამიანთა ცხოვრების მანათობელი, ღრმად ნუგეშისმცემი მაღალი იდეალის უკვდავი შუქია.

ილია ნაკაშიძე.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

თუ ეროვნულ კულტურას თანაუგრძნობთ, რატომ გავიწყდებათ ის უბრალო აზრი, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოსაცემად, არამედ, იგი სულია ეროვნულ არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მაჩვენებელი.

◆

ქართველი ინტელიგენცია რუსეთისადმი ლოიალიზმით არის გამსჭვალული. ინტელიგენციის ერთის ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ტახტისადმი არის მიმართული, ხოლო ინტელიგენციის მეორე ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ხალხისადმი.

◆

ერთნი ტახტისადმი ერთგულობის საშუალობით სცდილობენ ემსახურონ ქართველ ხალხს, მეორენი იმავ ხალხის კეთილდღეობას ერთა სწორუფლებიანობის ნიადაგზე კი არ ამყარებენ, არამედ უსისხლხორცო და უშინაარსო განყენებულ სოლიდარობის ნიადაგზე.

◆

საქართველოს წინაშე იდგა პრობლემა. მას უნდა ან სპარსეთი, ან რუსეთი აერჩია თავის მფარველად. და მანაც აირჩია რუსეთი. ქართულ ლოიალიზმის დასაბამი აქედან იწყება...

◆

ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი დენაციონალიზაციის სისტემის ნაყოფია. იგი შეუგნებლივ ეხმარება პოლიტიკას, რომლის წინააღმდეგ ვითომდა ბრძოლა უნდა და მას არ ძალუძს დანახვა უფსკრულისა, რომლის სიახლოვეს სდგას, რადგან მან უკვე გასწყვიტა კავშირი, როგორც საქართველოს ისტორიულ იმედებთან, ისე ეროვნულ კულტურასთან.

◆

რევოლიუციის ხანაში ჯერ კიდევ არა სჩანდა ის, რაც გამოაშკარავდა შემდეგში, არა სჩანდა, რომ გაერთიანების საქმეს (ეროვნებათა შორის, გინდ რუსეთთან გაერთიანების საქმეს) ხელს ვერ შეუწყობენ ეროვნულად გადაგვარებული ჯგუფები.

◆

თავად-აზნაურული ინტელიგენცი(ის)... დევიზია: ყურმოჭრილი ერთგულება და ნაცვლად ეროვნული კეთილდღეობა—ფორმულა, რომელსაც არავითარი რეალური შინაარსი აღარა აქვს.

◆

ნაცად, საუკუნოებით განცდილ, აზროვნების ჩვეულებას დიდი ძალა ჰქონია და მას არ ეკარგება, თურმე, ცხოველმყოფელობა მაშინაც კი, როდესაც სოციალ-პოლიტიკური წრე მას არავითარ მასალას აღარ აძლევს.

◆

თავად-აზნაურული ლოიალიზმი მირჩევნია იმ თვალთმაქცს, გამხრწნელ ლიბერალიზმს, რომელშიაც კოსმოპოლიტურ და ინტერნაციონალურ მისწრაფებასთან გვერდით მონურ და დახავსებულ სულიერ ფსიხიკას აქვს ადგილი.

◆

თუ ერის ინტერესი გაფიქრებთ და გაღონებთ, რატომ იმას არა ჰფიქრობთ, რომ თავიდა თავი ძალა ერისა მის ძალთა შეგროვებასა და კონცენტრაციაშია.

◆

რუსულ პრესის გამრავლება და ფესვების მოკიდება ჩვენს ცხოვრებაში, ის მოვლენაა, რომლის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლაა საჭირო.

◆

ჩვენი პრესა რიგორიზმით არის გამსჭვალული.

◆

ჩვენებური მკითხველი ისე კითხულობს ქართულ გაზეთს, როგორც შეგირდი კითხულობს მძიმე და მოსაწყენ გაკვეთილს ან დამნაშავე ფურცელს, სადაც მისი სიკვდილით დასჯის განაჩენი სწერია.

◆

ქართულ პრესსას ... არა აქვს გასავალი... ქართულ ინტელიგენციის ფართო წრეებში. შინაურობაში, ლაზღანდარობისა და უწმაწურობის მოყვარე ინტელიგენტი, აიღებს თუ არა ხელში ქართულ გაზეთს, ან წიგნს, იმწამსვე იცვლის გუნებას, შუბლსა ჰკრავს და კატონისებურად დაჰყურებს ქვეყანას, გადაავლებს თვალს ფურცელს და, სამგლოვიარო სულის განწყობილებით შეპყრობილი, მიაგდებს იქით.

◆

(ქართულ) პრესსას თავისი საკუთარი მკითხველი ჰყავს და იგი მაგრად არის დაკავშირებული თავის საკუთარ საზოგადოებასთან, ახალ ეროვნულ საზოგადოებასთან, რომელიც მიუხედავად ყოველგვარ დამაბრკოლებელ პირობებისა, მაინც გამოვიდა საქვეყნოდ, ჰსურს სიცოცხლე და დღეგრძელობა.

◆

ჩვენი ეროვნული სხეული ღრმად არის დასნეულებული.

◆

განურჩევლად მიმართულებისა და სოციალურ პოზიციებისა, ქართული პრესა ქართულ სხეულის ფარგალში ტრიალებს, იგი ემსახურება სხვა და სხვა გზით ერთ საქმეს—ქართულ კულტურის აღორძინებას.

◆

ჩვენს „საზოგადოებაში“ ქალმა პირველმა დაივიწყა ქართული ენა და იუკადრისა ქართულად ლაპარაკი. ოჯახიდან ქალის წყალობით არის ენა განდევნილი.

◆

ქალი ხომ ყოველსავეს აღლითა ზომავს, იგი დარწმუნებულია, რომ მისი შვილების ბედნიერებას ქართული სრულიად არ გამოადგება.

◆

ჩვენ... იმის ცდაში უნდა ვიყვნეთ, რომ გავმაგრდეთ, მოვიპოვოთ ძალა, წარვდგეთ ქვეყნის წინაშე, როგორც განსაზღვრული პიროვნება, რომელსაც სიცოცხლე მოძულებული არა აქვს და უკეთესი მომავალი სწყურია.

◆

სასაცილოა არა? დატყვევებული ერი, რომლის პროგრესიული ელემენტები დღემდე ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ რა მოელის და რა ესაჭიროება ქართველ ხალხს.

◆

როდესაც დღევანდელი მოსკოველი მოქალაქე აქცევს უპირატესს ყურადღებას ადგილობრივ საკითხებს, მისი ფსიხოლოგია დაქვეითებულია „ობივატელის“ ფსიხოლოგიაზე. ხოლო როდესაც ჩვენ არ ვაგდებთ ხელიდან ჩვენს „პროვინციალურ“ დროშას, ვააშკარავებთ მხოლოდ ჩვენს სიმტკიცეს და სურვილს საერთო საიმპერიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისას **ამ დროშის ხელმძღვანელობით.**

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.
2 მაისი.

უცხოეთი

ბელგრადი. სერბიის „პრეს-ბიურო“ იტყობინება, ტყუილია ცნობა, ვითომც მინისტრთა თათბირს საბოლოოდ გადაეწყვიტოს სერბია-ბულგარეთის საზღვართა საკითხი.

ვენა. რადგანაც სკუტარი საერთაშორისო ჯარს გადაეცა, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განსაკუთრებული წესები მოჰხსნეს.

დეპუტატთა პალატის მუშაობა განახლდა. სხვა და სხვა პარტიამ წინადადება შეიტანა, დაითხოვონ სათადარიგო ჯარისკაცები.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, ოსმალეთის დელეგატებმა გრეი ინახულეს. დელეგატთა თათბირი მოხდება არა უადრეს ელჩთა უახლოეს თათბირისა, რომელიც 7 მაისს უნდა მოხდეს.

ბერლინი. ლორდ მორლეის ბერლინში ყოფნა გარეშე საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ პირველ მაისს გაიგო. პრესა აღნიშნავს მორლეის ბერლინში ყოფნის მნიშვნელობას. ერთი გაზეთი ამბობს: ინგლისის საგარეო პოლიტიკის კურსი შეცვალაო. მოელიან ნიკოლსონის თანამდებობიდან გადადგომას. გაზეთების სიტყვით, მორლეი ხელს შეუწყობს ინგლისის და გერმანიის მეგობრულ განწყობილებას. მორლეი თურმე ფრიად უკმაყოფილოა იმით, რომ მის კერძო გამგზავრებას ბერლინში სხვა მნიშვნელობას აძლევენო.

ვენა. ავსტრიისა და ჰუნგრეთის მინისტრთა თათბირს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია სათადარიგო ჯარისკაცთა დაუყოვნებლივ დათხოვნის შესახებ, რადგანაც კრიზისი მთლად არ დასრულებულა; ალბანეთის სამხრეთი საზღვრები ჯერ არ არის გამორკვეული, არც მისი სახელმწიფოებრივი ფორმაა გადაწყვეტილი.

ლვოვი. სეიმის არჩევნები დანიშნულია 17 ივნისიდან 25 დე.

ვენა. დეპუტატთა პალატა. კრამარჟს პოლონელ დეპუტატთა სახელით შეკითხვა შეაქვს: როგორ გაამართლებს მთავრობა თავის საომარ სამზადისს ბალკანეთის კრიზისის დროს, და მართალია თუ არა, რომ იტალიასა და ავსტრია ჰუნგრეთის ხელშეკრულებაა დადებული ალბანეთში ინტერესთა გამიჯვნის თაობაზე.

ბუდაპეშტი. „პესტერ-ლოიდ“ იტყობინება: პადე-კალეს ანექსია ჰუნგრეთის მეფის სახელით მოხდა და არა ავსტრია-ჰუნგრეთისა.

პარიზი. მთავრობა 50.000 ფრ. კრედიტს თხოულობს საერთაშორისო საფინანსო კომისიისთვის. კანონპროექტი ჰგულისხმობს, კომისიის მუშაობა სამ თვემდე გასტანს; მონაწილეობას მიიღებს 11 სახელმწიფოს 60 დელეგატი.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში განიხილეს სოციალისტ ლარფურის შეკითხვა. შემკითხველი შეეხო ყავლგასულ ჯარის-კაცების დაკავებას. ლარფურმა დასძინა, რომ ეს ღონისძიება არა კონსტიტუციონალურია. ბარტუმ ლარფურს უპასუხა.

რუსეთი.

პეტერბურგი. სასამართლოს რეფორმათა კომისიამ მოიწონა სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შტატის გაძლიერების კანონ-პროექტი. საზღვაო-სამხედრო საქმეთა კომისიამ საჭიროდ სცნო ყაზახთა ოლქებში საჩქაროდ იყოს შემოღებული თვით-მმართველობა; საკითხი წინასწარ არ არის გადაწყვეტილი, თვით-მმართველობა საერთო ერობისა იქნება, თუ წმინდა ყაზახთა.

მინისტრთა საბჭომ შეუწყნარე ლად სცნო სათათბიროს 40 წევრ საკანონმდებლო მოსაზრება, დაარ დეს პეტერბურგის უნივერსიტეტ სამკურნალო ფაკულტეტი; აგრე ვე დაიწუნა 1892 წლ. 11 ივნის საქალაქო დებულებათა რეფორმ პროექტი.

პეტერბურგი. სასამართლოს რ ფორმათა კომისიის უმრავლესობა წინააღმდეგ სამი ოპოზიციონერის და ბარ. მეიენდორფისა, მიიღო ფინლანდიაში მომხდარ დანაშაულობათ საიმპერიო კანონების დაქვემდებარე ბის პროექტის მუხლობრივი გან ხილვა.

სამარა. თოვლი მოვიდა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი.

არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის

დღევანდლამდე ჩვენმა რედაქციამ მიიღო არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის. . .	339 მ. 58
შემდეგ შემოვიდა:	
ქუთაისის ბანკისაგან .	100 „ —
ტფ. ქალთა მე-4 გიმნაზიის ქართველ მოწაფეებისაგან.	2 „ —
ექ. ნ. მ. მელიქიშვილისაგან	25 „ —
სიღნაღიდან—ნესტორ დიდებულიძესაგან	9 „ —
ოდესის ტეხნიკურ სასწავლებლის მოსწავლეთაგან	11 „ —
სულ .	487 მ. 78

წერილ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გ ახლებთ 9 მ. 56 კ., რომელიც შ კრებილ იქმნა ძვირფას არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ ალექსანდრა სოლომონ იმერლიშვილის ასულის შიშნიაშვილისას 23 აპრილს სახელწოდების დღეს. სია შემომწირ ველთა: გიორგი შიშნიაშვილი, ალექსანდრა შიშნიაშვილი, ნინო შიშნიაშვილი, ნინო შიშნიაშვილისა, მაგდა იმერლიშვილისა, ეკატერინე დიდებულიძისა, მღვდ. ქოქიაშვილი, ელისო ბიბნიაშვილი, კონსტანტინე ბე გიშვილი, ანნა ბეგიშვილისა, თ. ან დრონიკაშვილი, კონ. ჩუტკერაშვი ლი, ბარბარე ჩუტკერაშვილისა და ქეთევან გულისაშვილი.

მინდობილობით **ნესტ. დიდებულიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3. საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ, (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფოცხვერა-თსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. ქათანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მიხაკის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანიშ** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს,ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

კბილის
ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

დაიცალა პარიკმახერის
დ უ ქ ა ნ ი
კარგ ალაგას, აბანოს მე-II სართულში. აქვე ქირავდება ორი ბინა სამ-სამ ოთახიანი. ვერის ვდაღმართი, 7, იკითხეთ იმავე სახლში მოთავსებულ აბანოში. 264.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 170.

კ ა ხ ე თ ი ს რ კ ი ნ ი ს გ ზ ა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საავარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საავარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „კავკაზის“ რედაქციაში ბ. რადიკევიჩს დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. გულისაშვილს 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, იერემია გულისაშვილს. 198

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ხელის მოწერით გამოიცემა ქ. ზოლას
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“
ი. გ. ამალიშვილის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, თელავში თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, ხონში—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, სამტრედიაში—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, გორში—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბაქოში მასწავლ. ბურჯანაძესთან, ოზურგეთში—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, შესტაფონში—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, ჩოხატაურში—სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ბათუმში—წიგნის მაღაზია „განთიადში“, სიღნაღში—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 11

გამოსულია და იყიდება
ნ. შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი ს
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმბველოვები.
საკუთარი სამრეწველოებიდან
ახალი თევზი:
მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სჟულაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქვიშკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჩირა, ზურგიელები, სხვა ყოველნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.